



რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს
სახელმწიფო მინისტრის აპარატი

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

2013 წლის ანგარიში



რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს
სახელმწიფო მინისტრის აპარატი

თბილისი, 2013



სარჩევი

შესავალი	4
1. ოკუპირებული ტერიტორიები	5
1.1. კონფლიქტების მოგვარების ახალი კონტექსტი და ხელისუფლების პოლიტიკა	5
1.2. პოლიტიკური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან	6
1.2.1. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები	6
1.2.2. თანამშრომლობა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.....	10
1.2.3. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM)	10
1.2.4. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან პოლიტიკის შემუშავებისა და ევროინტეგრაციის პროცესში.....	11
1.3. თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან.....	13
1.4. ჩართულობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია.....	14
1.4.1. სამედიცინო მომსახურება	14
1.4.2. სტატუს ნეიტრალური დოკუმენტები.....	16
1.4.3. საკოორდინაციო მექანიზმი	17
1.4.5. ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმოების წესები	18
1.5. მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების გავლების შედეგად გამყოფი ხაზის გასწვრივ დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირება.....	19
1.5.1. უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის საქმიანობა	19
1.5.2. დროებითი სამთავრობო კომისიის საქმიანობა	20
1.6. საკანონმდებლო ინიციატივები და საქმიანობა	21
2. სამოქალაქო ინტეგრაცია.....	24
2.1.1. სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია	25
2.1.2. უწყებათაშორისი კომისიის თემატური ჯგუფების შეხვედრები	27
2.2. ეროვნული კონცეფციის 2013 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა	27



2.2.1.	ღონისძიებები სოციალური და კულტურული მიმართულებით.....	28
2.2.2.	სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების/ტოლერანტობის გაზრდის კამპანია	29
2.2.3.	სამოქალაქო მონაწილეობა	30
2.3.	სახელმწიფო მინისტრის და მინისტრის პირველი მოადგილის შეხვედრები/ვიზიტები.....	31
2.4.	რელიგიურ საკითხთა დარეგულირება.....	31
2.5.	ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ.....	32

შესავალი

წინამდემარე დოკუმენტი მიზნად ისახავს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2012 წლის 25 ოქტომბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენას. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციას წარმოადგენს, ერთის მხრივ, სხვა უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით, ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ჩართულობისა და კონფლიქტების მოგვარების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის გატარება და, მეორეს მხრივ, საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების, პოლიტიკის შემუშავება და მათი იმპლემენტაციის მონიტორინგი.

გასული პერიოდის განმავლობაში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის და ზოგადად, მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის შედეგები იყო:

- ✓ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის სამართლებრივი გარანტიების შექმნა
- ✓ ნდობის აღდგენისაკენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა
- ✓ კონსტრუქციული, მოქნილი პოლიტიკის წარმოება
- ✓ აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან პირდაპირი დიალოგისათვის პირობების შექმნა
- ✓ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საერთაშორისო მხარდაჭერის გამყარება
- ✓ კონფლიქტის მოგვარებაში საერთაშორისო ჩართულობის გაზრდა
- ✓ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის სარგებლის აფხაზური და ოსური საზოგადოებისათვის შეთავაზება
- ✓ კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვა
- ✓ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციისკენ ძალისხმევის გაძლიერება

1. ოკუპირებული ტერიტორიები

1.1. კონფლიქტების მოგვარების ახალი კონტექსტი და ხელისუფლების პოლიტიკა

2012 წლის 25 ოქტომბერს, პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ მთავრობის დაკომპლექტების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ამასთან, გაგრძელდა წინა პერიოდში დაწყებული პროგრამებიც.

საქართველოს მთავრობა მისდევს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკას. მთავრობამ აირჩია პრაგმატული, მოქნილი და კონსტრუქციული მიდგომები, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის მიმართ პრინციპულ

„მთავრობამ აირჩია პრაგმატული, მოქნილი და კონსტრუქციული მიდგომები“

დამოკიდებულებას ეფუძნება. საქართველოს ხელისუფლების ამოცანაა, გააძლიეროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში ჩართულობის პოლიტიკა და ხელსაყრელი გარემო შექმნას შერიგებისა და კონფლიქტის ფართომასშტაბიანი მოგვარებისათვის, და ამით ახალი დინამიკა შეიტანოს სამშვიდობო პროცესში, რომელიც ჯერ კიდევ 2006 წლის მეორე ნახევრიდან შევიდა ჩიხში. საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა საკვანძო თანამდებობაზე კონფლიქტების მოგვარების სფეროში დაგროვილი პოზიტიური გამოცდილების მქონე პირების გამწესება ამ გზაზე ერთ-ერთი წინ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით, საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტებთან დაკავშირებით მიმართავს მხოლოდ მშვიდობიან და არააგრესიულ რიტორიკას, და გამოთქვამს მზადყოფნას აფხაზეთთან და ოსებთან პირდაპირი, პრაგმატული და ინტერესებზე დამყარებული დიალოგისათვის. მთავრობამ ასევე დაიწყო მთელ რიგი ცალმხრივი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მიზნად ისახავს, ათწლეულების მანძილზე შექმნილი გაუცხოვების შემდეგ, გაჩნდეს ნდობის აღდგენისა და გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ახალი ხელმძღვანელობის საქმიანობის უპირველესი ამოცანა იყო, ახალი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს, მაღალი ლეგიტიმაციის ხარისხით გაემყარებინა ჯერ კიდევ 2010 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ სტრასბურგში გაცხადებული ძალის გამოუყენებლობის ცალმხრივი ვალდებულება. 2013 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა უმრავლესობისა და უმცირესობის კონსენსუსის საფუძველზე მიიღო რეზოლუცია „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების

შესახებ“, რომელშიც კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ერთგულება მშვიდობისა და ძალის გამოუყენებლობის ცალმხრივი ვალდებულების მიმართ.

გასული ერთი წლის განმავლობაში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიზანი იყო ახალი შექმნილი შესაძლებლობებისა და გაჩენილი დადებითი კონტექსტის გარდაქმნა სამშვიდობო პროცესის გამოცოცხლების რეალურ რესურსად.

1.2. პოლიტიკური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან

გასული წლის განმავლობაში, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და მისი აპარატი მართავდა ინტენსიურ შეხვედრებს და მჭიდროდ თანამშრომლობდა პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. სახელმწიფო მინისტრის აპარატში ინტენსიურად იმართებოდა ორმხრივი შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან. ამასთან, განხორციელდა სახელმწიფო მინისტრის და მისი მოადგილის ვიზიტები რამდენიმე პარტნიორი ქვეყნის დედაქალაქებში. აღნიშნული საქმიანობის მიზნებს წარმოადგენდა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებზე ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ხედვების გაცნობა, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის და ამ რეგიონებში საერთაშორისო

„არასოდეს ასეთი ჰარმონიული არ ყოფილა საქართველოს ხელისუფლებისა და პარტნიორი ქვეყნების ხედვები“

ჩართულობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების დაცვა და ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესების ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკამ ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური გამოხმაურება გამოიწვია საერთაშორისო საზოგადოებაში და მიიღო სრული მხარდაჭერა. არასოდეს ასეთი ჰარმონიული არ ყოფილა საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების ხედვები კონფლიქტების მოწესრიგების საკითხზე, რაც თავის მხრივ, განაპირობებს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საქმეში საქართველოს ძალისხმევას და მისი ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისო პარტნიორების კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას.

1.2.1. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ხუთი რაუნდი. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რომელიც საქართველოს დელეგაციას თავმჯდომარეობს. სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობდა და აქტიურად



მონაწილეობდა ქენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფში ჰუმანიტარული საკითხების თაობაზე, რომელშიც რეგულარულად განიხილებოდა გამყოფ ხაზებზე რუსი სამხედროების მიერ ხელოვნური ბარიკადების აღმართვის შედეგად მოსახლეობისათვის წარმოქმნილი მძიმე ჰუმანიტარული და სოციალური გამოწვევები, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ადამიანის უფლებების, მათ შორის განსაკუთრებით გალის მოსახლეობის უფლებების, უხეში დარღვევების ფაქტები, იძულებით

*„ქენევის მოლაპარაკებებზე
მწვავედ დაისვა ცხინვალის
რეგიონის ტერიტორიაზე
მიმოსვლისათვის ხელოვნური
ბარიერების, მათ შორის
მავთულხლართების აღების
აუცილებლობის საკითხი“*

გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და სხვა ჰუმანიტარული საკითხები. ინფორმაცია მოსახლეობისათვის კრიტიკულ პრობლემებზე, რომელიც, სამწუხაროდ, 2013 წელს გამყოფ ხაზებზე მავთულხლართებისა და სხვა დაბრკოლებების მშენებლობის ინტენსიფიკაციას უკავშირდებოდა, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევის სისტემატურ შემთხვევებზე, დეტალურად იქნა წარდგენილი თანათავმჯდომარეებისა და დისკუსიების ყველა მონაწილისათვის მათზე დაუყოვნებელი და პრინციპული რეაგირების მოთხოვნით. სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეგულარულად ამზადებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევების (გადაადგილების შეზღუდვა, უკანონო დაკავებები, პასპორტიზაციით მანიპულირება, ქართულ ენაზე განათლების აკრძალვა, ეთნიკურ ნიადაგზე დევნა, საკუთრების უფლების შელახვა, კრიმინალი, იძულებითი სამხედრო გაწვევა და სხვა), ეკონომიკური ექსპანსიის, უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობისა და სხვა უკანონო ქმედებების ფაქტების ამსახველ დოკუმენტებს.

ქენევის საერთაშორისო დისკუსიების ხუთივე რაუნდზე სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე აუდერებდა საქართველოს ხელისუფლების პრაგმატულ პოზიციას და მზაობას, საქმიან და სტატუს-ნეიტრალურ რეჟიმში გადაწყდეს ის მწვავე ჰუმანიტარული პრობლემები, რაც ოკუპირებული ტერიტორიების და მათ მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას ექმნება (მაგ. ჯანდაცვაზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე, განათლებაზე, გადაადგილებაზე და სასიცოცხლო ინფრასტრუქტურაზე (გაზი, წყალი) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა). გარდა ამისა, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით, ცალმხრივ რეჟიმში გადაიდგა რიგი კონსტრუქციული ნაბიჯებისა, რაც ადასტურებს საქართველოს ხელისუფლებისათვის ჰუმანიტარული საკითხების პრიორიტეტულობას და პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას პრინციპული პოლიტიკური ხაზების გადაკვეთის გარეშე. შესაბამისად, ქენევის საერთაშორისო დისკუსიებში საქართველოს ხელისუფლების ჩართულობა უკანასკნელი ხუთი რაუნდის განმავლობაში მიმართული იყო ჰუმანიტარული სამუშაო ჯგუფის უკვე ტრადიციულად არაადეკვატურად მაღალი პოლიტიზირების ხარისხის განმუხტვის, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შინაარსობრივ განხილვისა და მოსახლეობის ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემების პრაგმატული გადაწყვეტის გზების მოძიებაზე.

2012 წლის 11-12 დეკემბერს, 22-ე რაუნდზე, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართვიდან პირველივე რაუნდზე, ჰუმანიტარული საკითხები დისკუსიების ერთ-ერთ ცენტრალურ თემად იქნა განხილული, რამაც გაამყარა ქართული მხარის პოზიცია და დაადასტურა ხელისუფლების მიდგომების მიზანშეწონილობა მეორე ჯგუფში. კერძოდ, აღნიშნული რაუნდის წინ ჩატარდა საინფორმაციო სესია ჰუმანიტარული საჭიროებების შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. მოწვეულმა ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს გამყოფი ხაზების გასწვრივ მცხოვრები დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარული საჭიროებების შეფასების საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ხაზი გაუსვეს აღნიშნულ ზონებში ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა გამყოფი ხაზების გადაკვეთის წესების დარღვევის გამო დაკავების შემთხვევების ზრდის შემამფოთებელ ტენდენციას და თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებულ ახალ შეზღუდვებს, მათ შორის, იმ მოსახლეობის მიმართ, რომელსაც ესაჭიროება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საერთაშორისო საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია იმ შემთხვევების შესახებ, რომელსაც ფატალური შედეგი მოჰყვა, როდესაც პირებს უარი ეთქვათ გამყოფი ხაზის გადმოკვეთაზე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მისაღებად. 22-ე რაუნდი მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ მეორე ჯგუფის მონაწილეებმა ქართული მხრიდან წარმოაჩინეს პროგრესი, წარადგინეს რა კონკრეტული წინადადებები წლების განმავლობაში შეფერხებული საკითხების მოსაგვარებლად (გაზის მიწოდება ახალგორისთვის, დაკარგულ პირთა საკითხი). კერძოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეიმუშავა და წარადგინა წინადადებები ეუთო-ს ეგიდით ცხინვალის რეგიონისათვის სასმელი და სარწყავი წყლის სისტემის აღდგენის, ასევე ქართული მხარის მიერ ახალგორის რაიონისათვის გაზის მიწოდების აღდგენის თაობაზე. აღნიშნული საკითხები, მათი პოლიტიზირებულობის გამო, წლების განმავლობაში „გაცივლი“ იყო.

ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მიმოსვლისათვის დამატებითი ხელოვნური ბარიერების, მათ შორის მავთულხლართების აღების აუცილებლობის საკითხი მწვავედ დაისვა ასევე მოლაპარაკებებების 23-ე რაუნდზე 2013 წლის 27 მარტს. ამასთან, გაეროს მხრიდან შემოთავაზებული იქნა ე.წ. ჰუმანიტარული ვიზიტების თემა, რაზეც ქართულმა მხარემ გამოთქვა თანამშრომლობის გაგრძელების მზადყოფნა. ასევე, განხილულ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის საკითხი და ამასთან დაკავშირებული კონკრეტული წინადადებები, რაც ჰუმანიტარულ სამუშაო ჯგუფში რეგულარულად დგება დღის წესრიგში ქართული მხარის მიერ.

ჟენევის დისკუსიების 24-ე (26 ივნისს) და 25-ე (15-16 ოქტომბერი) რაუნდებზე ჰუმანიტარული საკითხების ჯგუფში ქართულმა მხარემ გამყოფ ხაზებზე ფორტიფიკაციების მშენებლობის შეწყვეტა კატეგორიულად მოითხოვა.

ჰუმანიტარული საკითხების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ ხაზი გაუსვა ამ პროცესის მძიმე ჰუმანიტარული შედეგების დაუყოვნებლივ აღმოფხვრის აუცილებლობას. ამავე რაუნდებზე



დაისვა ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჰუმანიტარული საქმიანობის ხელშეწყობის აუცილებლობის საკითხები. გარდა ამისა, საკმაოდ დეტალურად იქნა განხილული იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი, რომლის დროსაც სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ დელეგაციის წევრებთან ერთად, დეტალური განმარტებები გააკეთა ამ უფლების განუყოფლობაზე, კონკრეტულად ჟენევის დისკუსიების მნიშვნელობაზე საკითხის არა პოლიტიკური განხილვის, არამედ პრაქტიკულად გადაჭრის თვალსაზრისით და ასევე, ამ ფორმატში, შესაძლო პატარა, მაგრამ ქმედითი ნაბიჯებით ამ მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარების დაწყების შესაძლებლობასა და აუცილებლობაზე.

„ჟენევის პროცესში ახალი ხელისუფლების ჩართვისთანავე ქართულმა მხარემ გამოხატა კეთილი ნება და ნდობის აღდგენისაკენ ცალმხრივად გადადგა კონკრეტული ნაბიჯები“

25-ე რაუნდის ფარგლებში, პრობლემის სიმწვავის გამო, საინფორმაციო სესიის ფარგლებში განხილული იქნა „პრაგმატული მიდგომები გადაადგილების თავისუფლებისადმი“, რომელზეც მოწვეულმა ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში თავისუფალი გადაადგილების პრაქტიკა და აღნიშნეს ნებისმიერ ვითარებაში ჰუმანიტარული საქმიანობისა და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის აუცილებლობა.

23-ე რაუნდის ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო სესია ქალთა ჩართულობაზე სამშვიდობო პროცესში, გაეროს 1325 რეზოლუციასთან მიმართებაში, რომელშიც ქართული მხარე აქტიურად იყო ჩართული.

24-ე რაუნდის ფარგლებში საინფორმაციო სესია გაიმართა ძალის გამოუყენებლობის და შესაბამისი ვალდებულების თემაზე, რაც ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ერთ-ერთ ცენტრალურ თემას წარმოადგენს პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

2013 წლის 18 დეკემბერს გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების რიგით 26-ე რაუნდი, რომელზეც მეორე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მოხდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვა. ცენტრალურ თემად კვლავ რჩებოდა გამყოფ ხაზებზე სხვადასხვა ფორმის ფიზიკური ბარიკადების აღმართვის შედეგად მოსახლეობისათვის შექმნილი სერიოზული გამოწვევები, მათ შორის საკუთარ მიწის ნაკვეთებზე წვდომის, თავისუფალი გადაადგილების და ხალხთაშორის კონტაქტების შეზღუდვის თვალსაზრისით. ამ საკითხების განხილვისას, ქართული მხარე ხაზს უსვამდა, რომ რუსი სამხედროების მიერ ფიზიკური ბარიერების აღმართვის შედეგად ჰუმანიტარული ვითარება მძიმდება გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობისათვის. ადამიანის უფლებათა დარღვევის და უფლებათა შეზღუდვის ფაქტები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ასევე დეტალურად იქნა განხილული. სხვა თემებთან ერთად, განხილულ

იქნა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის საკითხები.

აღსანიშნავია, რომ ჟენევის პროცესში ახალი ხელისუფლების ჩართვისთანავე ქართულმა მხარემ გამოხატა კეთილი ნება და ნდობის აღდგენისაკენ ცალმხრივად გადადგა კონკრეტული ნაბიჯები. ამიტომ 22-ე რაუნდიდან მოყოლებული „გაყინული“ საკითხების გადაჭრისათვის საქართველოს დელეგაციის მიერ მზადყოფნის გამოხატვა წარმოადგენდა ერთგვარ შემობრუნებას, რამაც დამატებითი უზერხულობა შეუქმნა ოპონენტებს და წაართვა აქამდე გამოყენებული არგუმენტები. შედეგად, 22-ე რაუნდზე ქართული მხარის მიერ გაჟღერებულმა კონსტრუქციულმა წინადადებებმა შეცვალა კონტექსტი ჟენევის დისკუსიებზე და გაამყარა საქართველოს დელეგაციის პოზიცია. ამასთან, ქართული მხარის ამ ნაბიჯებს საერთაშორისო მონაწილეებისა და თანათავმჯდომარეების მხრიდან პოზიტიური შეფასება და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოჰყვა.

1.2.2. თანამშრომლობა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე

ახალგორისთვის გაზის მისაწოდებლად გაზის ფასისა და სხვა პირობებთან დაკავშირებით მთავრობამ კერძო კომპანიასთან ხელსაყრელ შეთანხმებას მიაღწია. ასევე წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები ზონკარის წყალსაცავიდან წყალმომარაგების აღდგენაზე, რითაც საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სარწყავი წყალი მიეწოდებათ გამყოფი ხაზით დაშორებული ორივე მხარის სოფლებს. ამჟამად აღნიშნული საკითხი ეუთო-ს დახმარებით განიხილება დე-ფაქტო ხელისუფლებასთან.

1.2.3. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რაეგირების მექანიზმი (IPRM)

გასული წლის განმავლობაში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი მონაწილეობას იღებდა ერგენტში გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რაეგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში. აღნიშნულ ფორმატში იხილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ადამიანის უფლებების დარღვევის, მათ შორის უკანონო დაკავებების ფაქტები, პატიმართა, კერძო საკუთრების ხელყოფასთან, სარწყავი და სასმელი წყლის მიწოდებასა და მოსავლის აღებასთან

„აღსანიშნავია უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხი, რომელზეც მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი, ისევე როგორც ეთნიკური ოსი პატიმრების გათავისუფლების საქმეში“

დაკავშირებული საკითხები. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რაეგირების მექანიზმის მუშაობის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან. ჟენევის დისკუსიებისა და სხვა ფორმატებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა არაერთხელ დააფიქსირეს უარყოფითი პოზიცია გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რაეგირების მექანიზმის შეჩერების თაობაზე და აღნიშნეს მისი დროული განახლების მნიშვნელობა.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რაეგირების მექანიზმის ფარგლებში განსახილველ საკითხებს შორის ასევე აღსანიშნავია ეთნიკურად ოსი უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხი, რომელზეც სახელმწიფო მინისტრის აპარატის შუამდგომლობისა და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი, ისევე როგორც ეთნიკური ოსი პატიმრების გათავისუფლების საქმეში, რამაც დადებითი შეფასება დაიმსახურა ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეების მხრიდან და პოზიტიური როლი შეასრულა ქართულ-ოსური ნდობის აღდგენის პროცესში.

1.2.4. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან პოლიტიკის შემუშავებისა და ევროინტეგრაციის პროცესში

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მჭიდრო თანამშრომლობა სტრატეგიულ დონეზე, რომელიც ჩამოყალიბდა ევროკავშირსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის და რომლის მიზანია ხედვებისა და პოლიტიკის მაქსიმალური თანხვედრა-გაზიარება. ერთმნიშვნელოვნად დადებითი შეფასება დაიმსახურა საქართველოს მიერ კონფლიქტების მოგვარების კუთხით გადადგმულმა ნაბიჯებმა ევროპის საბჭოს მიერ მომზადებულ ანგარიშებში.

საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა, გაუზიაროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას ის სხვადასხვა სარგებელი, რომელიც მომდინარეობს ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესიდან; განსაკუთრებით ის ახალი შესაძლებლობები, რაც უკავშირდება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას და სავიზო რეჟიმის გამარტივებას. ამ მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამართა კონსულტაციები ევროკავშირის წარმომადგენლებთან, ჩაატარა კვლევები, შეხვდა დამოუკიდებელ ექსპერტებს და განიხილა ის მექანიზმები, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის“ შესახებ შეთანხმების ოკუპირებულ რეგიონებზე გავრცელებისათვის. ამასთანავე, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში კონსულტაციები აწარმოა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა მათ შეინარჩუნონ და გააძლიერონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩართულობა, მიუხედავად იმ დიდი ზეწოლისა

და შეზღუდვებისა, რომელსაც ისინი აწყდებიან ამ ტერიტორიებზე შესვლისა და საქმიანობის კუთხით.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის თხოვნით, ევროკავშირის, გაეროსა და ევროსაბჭოს მიერ უზრუნველყოფილ იქნა ექსპერტთა ორი მისიის მოვლინება საქართველოში, აპარატისათვის საერთაშორისო სამართლებრივი დახმარებისა და პოლიტიკის შემუშავებაში რეკომენდაციების მომზადების მიზნით. წამყვანმა დასავლელმა ექსპერტებმა შეხვედრები გამართეს აპარატის წარმომადგენლებთან, სამოქალაქო სექტორის წევრებთან, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რის შემდეგაც შეიმუშავეს ზოგადი წინადადებები არაღიარების, ჩართულობის, სტრატეგიული დაგეგმვის და რეინტეგრაციის პოლიტიკის საკითხებზე. აღნიშნული დახმარების ფარგლებში უკვე დაიგეგმა სამთავრობო უწყებების დელეგაციის ვიზიტი კვიპროსის რესპუბლიკაში ამ ქვეყნის გამოცდილების უკეთ შესასწავლად, რისთვისაც წინასწარ უკვე მომზადდა და სახელმწიფო აპარატს მიეწოდა ექსპერტთა ანალიზი კვიპროსის კონფლიქტის მოგვარების გამოცდილებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო გამოცდილება და დასავლელი ექსპერტების რჩევები, მათ შორის არაღიარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების, დასავლეთის ჩართულობისა და აფხაზურ და ოსურ მხარეებთან საქართველოს ხელისუფლების საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით მისაღები ფორმისა და შინაარსის პირდაპირი კონტაქტების თაობაზე, დიდწილად გახდება საქართველოს ახალი პოლიტიკის განმსაზღვრელი.

„საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა, გაუზიაროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას ის სხვადასხვა სარგებელი, რომელიც მომდინარეობს ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესიდან“

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატში მოვლინებულ იქნა უცხოელი და ადგილობრივი კონსულტანტები აპარატის საქმიანობის არსებული მდგომარეობის ანალიზისა და ეფექტურობის ამაღლების მიზნით. ამჟამად, მიმდინარეობს მიღებული რეკომენდაციების დანერგვა იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და უწყების მუშაობის ოპტიმიზაციის მიზნით.

ამასთან, ევროკავშირის მხარდაჭერით, სახელმწიფო მინისტრის აპარატს გამოეყო კონსულტანტების ჯგუფი სტრატეგიული კომუნიკაციების კუთხით შიდა შესაძლებლობების განვითარებაში დახმარების მიზნით.



1.3. თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან

გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის წახალისება, ადამიანებს შორის კონტაქტების აღდგენა და ნდობის მშენებლობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს. სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რაც გამოიხატებოდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლების მონაწილეობაში სამოქალაქო სექტორის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და სემინარებში როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და საზღვარგარეთ. აპარატის თანამშრომლები ასევე მონაწილეობას იღებდნენ, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრებში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები რეგულარულად ხვდებოდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ თემებზე მომუშავე ახალგაზრდულ, პროფესიულ და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პირებს, რომელთაც გამოთქვეს ინტერესი აფხაზური და ოსური საზოგადოებების წევრების მონაწილეობით კონკრეტული პროექტების განხორციელებასთან და ზოგადად, კონფლიქტების მოგვარების სფეროში გააქტიურობასთან დაკავშირებით. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ასეთ ორგანიზაციებსა და პირებს ეხმარებოდა საკუთარი საპროექტო წინადადებების გაუმჯობესებაში და აძლევდა რჩევებს დონორ ორგანიზაციებთან დაკავშირებით.

„სახელმწიფო მინისტრის აპარატი მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების მხარდასაჭერად დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების ან/და დაფინანსების პროცედურების გამარტივების შესაძლებლობაზე“

საანგარიშო პერიოდში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად განიხილავდა და მუშაობდა დონორ ორგანიზაციებთან/ქვეყნებთან (შვეიცარია, შვედეთი, შტატები, ევროკავშირი და სხვა) მსგავსი ე.წ. გრასრუტის (grassroots) პროექტების მხარდასაჭერად და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პოტენციალის განვითარებისათვის დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების ან/და დაფინანსების პროცედურების გამარტივების შესაძლებლობის შესაქმნელად.



1.4. ჩართულობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად ახორციელებდა „სახელმწიფო სტრატეგიას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და „ჩართულობის სამოქმედო გეგმას“. აღნიშნული დოკუმენტების ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯანმრთელობისა და განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ასევე ადამიანთაშორის ურთიერთობების გაღრმავების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ოკუპირებულ ტერიტორიებზე მეტი ჩართულობის ხელშეწყობას.

1.4.1. სამედიცინო მომსახურება

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და აქტიურად იყენებს საკუთარ რესურსებს, ისევე როგორც გაერო-ს განვითარების პროგრამის ფარგლებში შექმნილ „საკოორდინაციო მექანიზმს“. შედეგად მაქსიმალური დახმარება ეწევა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს სრულყოფილი სამედიცინო მომსახურების მიღებაში, როგორც ადგილზე – ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე გამყოფი ხაზების აქეთ.

გასულ წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები სარგებლობდნენ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით, რომელთა შორის უმთავრესია „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამა.

სახელმწიფო ცდილობს, აღნიშნული პროგრამა მაქსიმალურად დაცული იყოს ბიუროკრატიისაგან. „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ოკუპირებული რეგიონების მაცხოვრებლები განცხადებით მიმართავენ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს. სახელმწიფო მინისტრი, თავის მხრივ, შუამდგომლობას უწევს მათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. ამ ადამიანებისათვის საკმარისია, იქონიონ აფხაზური ან ოსური დე-ფაქტო მთავრობების მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ აღიარებს დე-ფაქტო მთავრობების მიერ გაცემულ არცერთ დოკუმენტს, „რეფერალური მომსახურების“ პროგრამაში მოსახვედრად მთავრობა არ ქმნის ხელოვნურ ბარიერებს და ამ დოკუმენტებს იღებს როგორც პიროვნების მაიდენტიფიცირებელ საბუთებს. იმ პირობებში, როდესაც

*„ოკუპირებულ ტერიტორიებზე
მცხოვრები ადამიანები
სარგებლობდნენ ჯანდაცვის
სხვადასხვა სახელმწიფო
პროგრამით, რომელთა შორის
უმთავრესია რეფერალური
მომსახურების პროგრამა“*

საოკუპაციო რეჟიმი ყველაფერს აკეთებს, რათა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები მოაქციოს სრულ იზოლაციაში, მოსახლეობა მაინც ახერხებს სხვადასხვა გზებით გამყოფი ხაზის გადმოკვეთას.

2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის პირველ დეკემბრამდე რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში შემოვიდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები 837 ადამიანის განცხადება (აფხაზეთის რეგიონიდან – 639 ადამიანი, ცხინვალის რეგიონიდან – 188 ადამიანი), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შუამდგომლობის გაწევის თაობაზე. სულ დაფინანსების თანხამ შეადგინა 500,000 ლარზე მეტი. ძირითადად, ამ ადამიანებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა ხდება ზუგდიდის, ქუთაისის, ბათუმის, გორის და თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში.

მიუხედავად გავლებული მავთულხლართებისა და გამყოფი ხაზზე გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვისა, 2012 წელთან შედარებით, გაიზარდა ცხინვალის რეგიონიდან მკურნალობის მსურველთა რაოდენობა. მართალია ამ ადამიანების 70% დანარჩენ საქართველოში ჩამოდის ლარსის გამშვები პუნქტიდან, მაგრამ არსებობენ ისეთებიც, ვინც სიცოცხლის რისკის ფასად ახერხებენ მავთულხლართების და საოკუპაციო რეჟიმის გვერდის ავლით საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს არ განელებიათ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სამედიცინო მომსახურების მიღების სურვილი, ხოლო ქართული სამედიცინო დაწესებულებები განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს მათთვის.

2013 წლის თებერვალში საქართველოს ხელისუფლების მიერ შემოღებული საყოველთაო დაზღვევის პროგრამა გავრცელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობაზეც ამ უკანასკნელთა ასაკის მიუხედავად. პროგრამის მიხედვით, სტატუს ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელ პირებს შეუძლიათ მიიღონ სადაზღვევო პოლისი და უფასოდ ჩაერთონ დაზღვევის პროგრამაში.

2013 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვის მომსახურებაზე დახარჯული თანხების მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა დაახლოებით 2 მილიონი ლარი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს მოსახლეობის ჯანდაცვის გაუმჯობესების მიზნით საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში ორი სასწრაფო დახმარების მანქანა გადაეცა აფხაზურ მხარეს.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოქალაქეებს საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში რეგულარულად მიეწოდებოდა შემდეგი სახის მედიკამენტები: ტუბერკულოზის



საწინააღმდეგო პრეპარატი, იმუნიზაციის ვაქცინები და დიაბეტის სამკურნალო პრეპარატები.

2013 წლის განმავლობაში სულ მიწოდებულ იქნა:

1. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატი – 3,827 ლარის ღირებულების;
2. იმუნიზაციის ვაქცინები – 150,038 ლარის ღირებულების;
3. დიაბეტის სამკურნალო პრეპარატები – 24,774 ლარის ღირებულების.

„გლობალური ფონდის“ ფარგლებში დაფინანსება ეძლევა სოხუმის შიდსის ცენტრს. გამოყოფილი დახმარება ფარავს აღნიშნული ცენტრის ოპერაციულ, ასევე პაციენტების ტესტირებისა და მკურნალობის ხარჯებს.

1.4.2. სტატუს ნეიტრალური დოკუმენტები

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფდა სტატუს ნეიტრალური პირადობის მოწმობისა და სტატუს ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის, როგორც სოციალური და სხვა შესაძლებლობების მიღებისა და საზღვარგარეთ თავისუფალი გადაადგილების დამატებითი საშუალების, ხელმისაწვდომობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის. 2013 წლის განმავლობაში სტატუს ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი დამატებით აღიარა უნგრეთმა და რუმინეთმა; პერიოდულად სხვადასხვა სახელმწიფოდან აპარატი ღებულობს შეტყობინებებს დოკუმენტის შემდგომი განხილვის თაობაზე. საქართველოს მთავრობა აგრძელებს სტატუს ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მეტი აღიარებისაკენ მიმართულ ძალისხმევას. ამ ეტაპზე დოკუმენტი აღიარებულია 12 სახელმწიფოს, მათ შორის 9 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, რუმინეთი, აშშ, იაპონია და ისრაელი). პირველი დეკემბრისათვის, სამოქალაქო განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულია 235 სტატუს ნეიტრალური პირადობის მოწმობა და 29 სტატუს ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

„2013 წლის განმავლობაში ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი დამატებით აღიარა უნგრეთმა და რუმინეთმა. ამ ეტაპზე ნეიტრალური დოკუმენტი აღიარებულია 12 სახელმწიფოს, მათ შორის 9 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ“



1.4.3. საკოორდინაციო მექანიზმი

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, „ჩართულობის სამოქმედო გეგმის“ საფუძველზე შექმნილი საკოორდინაციო, ე.წ. liaison მექანიზმი აგრძელებს მნიშვნელოვანი კონტაქტების შენარჩუნებას გამყოფი ხაზის ორივე მხარეს და ამ ეტაპზე წარმომადგენს ერთადერთ ლეგალურ დამაკავშირებელ მექანიზმს. ამ ინსტრუმენტის საშუალებით აფხაზურ მხარეს რეგულარულად მიეწოდება საჭირო მედიკამენტები; გაეროს განვითარების პროგრამის სხვა პროექტების ფარგლებში საკოორდინაციო მექანიზმის ჩართულობით აფხაზეთის რეგიონს დამატებით მიეწოდა პესტიციდები და ამერიკული პეპლის საწინააღმდეგო საშუალებები.

*„ნდობის აღდგენის პროექტები
ითვალისწინებენ გამყოფი ხაზის
ორივე მხარეს მცხოვრები
სხვადასხვა პროფესიული
ჯგუფების შეხვედრებს“*

აღნიშნული მექანიზმი ასევე აქტიურად ეხმარება საერთაშორისო ორგანიზაციებს აფხაზეთის ტერიტორიაზე კონტაქტების დამყარებასა და ნდობის აღდგენის პროექტებისათვის მონაწილეთა შერჩევაში. 2013 წლის განმავლობაში მონაწილეთა იდენტიფიცირება მოხდა ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის რამდენიმე პროექტისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის შეხვედრებს ნეიტრალურ ტერიტორიებზე:

1. ქართული და აფხაზური საზოგადოების 6–6 უცხო ენის მასწავლებლების შეხვედრა გრაცის უნივერსიტეტში (ავსტრია) უცხო ენების სწავლების მეთოდის თემატიკაზე;
2. ქართული და აფხაზური საზოგადოების 10–10 ხელოვნების სფეროს წარმომადგენლის შეხვედრა ვენეციაში (იტალია) კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის თემაზე სემინარში მონაწილეობის მისაღებად.

გარდა ამისა, იგეგმება ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების შეხვედრა ერთობლივი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნაზე მუშაობის დასაწყებად. პროექტის განხორციელების მიზნით სექტემბრის თვეში შეხვედრა გაიმართა თბილისში ქართველი ისტორიკოსების, ევროსაბჭოს ექსპერტებისა და აპარატის წარმომადგენლების მონაწილეობით.

აღნიშნული მიმართულებით, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო ჩართულობით, ასევე განხორციელდა თბილისიდან, ცხინვალიდან და სხვა ქალაქებიდან სამოქალაქო საზოგადოების 10–10 წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი ბოსნია-ჰერცეგოვინაში ბალკანური კონფლიქტების მოგვარების გამოცდილების შესასწავლად.



1.4.4. აფხაზურ ენაზე და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამართა კონსულტაციები ინფორმაციის გაცვლის მიზნით თბილისში მცხოვრებ მშობლიური ენის აფხაზ-სპეციალისტებთან. შეხვედრის მიზანი იყო სამუშაო ჯგუფის მომზადება, რომლის ამოცანა იქნება აფხაზური ენის როგორც საკომუნიკაციო ენის განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის თაოსნობით გაიმართა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კულტურულ-ისტორიული ძეგლების მდგომარეობასთან დაკავშირებით უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრები. ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიზანმიმართულად გრძელდება საოკუპაციო რეჟიმის მიერ ქართული კულტურული მემკვიდრეობის უძველესი

„სამუშაო ჯგუფის ამოცანა იქნება აფხაზური ენის როგორც საკომუნიკაციო ენის განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე“

ნიმუშების პირველადი იერსახის ხელყოფა, ვანდალიზმისა და შავი არქეოლოგიის წახალისება. სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული ცენტრის, დარგის მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, მომზადდა და შედგა აფხაზეთში მდებარე ძეგლების სია მონიტორინგის საერთაშორისო ჯგუფისთვის და იუნესკო-ში წარსადგენი სარეკომენდაციო წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის. წერილი იუნესკოს სამდივნოს უკვე გადაეცა და საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრისას გენერალურ მდივანთან საკითხიც დაისვა. ამასთან, აღნიშნული საკითხის განსახილველად სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეგულარულად იყენებდა ჟენევის დისკუსიების ფორმატს, მეორე ჯგუფის ფარგლებში.

1.4.5. ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმოების წესები

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესებს, ე.წ. მოდალობებს ახორციელებს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინაციისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პრინციპებზე დაყრდნობით. 2012 წლის ნოემბრის თვიდან თანხმობის ბრძანება მიეცა საერთაშორისო ორგანიზაციების 24 და ადგილობრივი ორგანიზაციების 16 პროექტს (სულ 40 პროექტი). მოდალობების ამოქმედების პერიოდიდან თანხმობა გაცემულია სულ 169 პროექტზე. არცერთ პროექტზე არ გაცემულა უარი.



1.5. მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების გავლების შედეგად გამყოფი ხაზის გასწვრივ დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირება

განვლილი წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის დიდი ნაწილი დაეთმო სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის გამყოფი ხაზების სიახლოვეს მავთულხლართების, მიწათხრილების, ღობეებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებათა შეფასებას და მის საფუძველზე შექმნილი სამთავრობო კომისიის მუშაობას.

1.5.1. უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის საქმიანობა

მიმდინარე წლის 30 მაისს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე გადაწყდა უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, რომელიც შეიმუშავებდა ქმედით მექანიზმებს გამყოფი ხაზის სიახლოვეს მავთულხლართებისა და წინაღობების გავლების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირებისათვის, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შევიდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები. აღნიშნული ჯგუფის მუშაობას კოორდინაცია გაუწია რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა.

მიმდინარე წლის 1 ივნისს, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით უწყებათშორისმა სამუშაო ჯგუფმა ჩატარა გასვლითი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მოინახულა მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების აღმართვის შედეგად დაზარალებული გორის რაიონის თემები/სოფლები. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ასევე მუნიციპალური განვითარების ფონდის, სოფლის მეურნეობის, შსს-სა და გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა. შემდგომი შეხვედრები და ადგილზე ვითარების გაცნობა, უშუალოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლების მიერ განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულმა სამუშაომ მოიცვა გამყოფი ხაზთან მდებარე გორის, ქარელის, კასპისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების 77 სოფელში არსებული მდგომარეობის შესწავლა.

ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტებიდან და ადგილობრივი გამგეობებიდან /საკრებულოებიდან მოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მოახდინა პირველადი პრობლემატიკის განსაზღვრა. აქცენტი გაკეთდა მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების გავლების პროცესის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის გადაუდებელი საჭიროებების იდენტიფიცირებაზე, დაზარალებული ოჯახების დროებით დაკარგული საცხოვრისის თუ სახნავ-სათესი სავარგულების აღრიცხვიანობის საკითხზე. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შემდგომ, გაიწერა

თითოეული დაზარალებული რაიონის ტერიტორიული ორგანოების და მათში შემავალი სოფლების პრიორიტეტული საჭიროებები.

უშუალოდ ადგილზე გამგეობების ხელმძღვანელობასთან შეხვედრების დროს გამოკვეთილ, ასევე ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მიერ გამოგზავნილ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა საჭიროებების იდენტიფიცირება. აღნიშნული სამუშაო პროცესი მოიცავდა პრიორიტეტული საჭიროებების დახარისხებას, თითოეული თემის/ტერიტორიული ორგანოს პრიორიტეტების ჩამონათვალის შემუშავებას. აღნიშნული პრიორიტეტების ჩამონათვალის შეჯამება მოხდა მათში შემავალი სოფლების მოთხოვნების შეჯერების საფუძველზე. დასასრულს, განხორციელდა თემების კონსოლიდირებული საჭიროებების გამოკვეთა დარგების მიხედვით და შესაბამისი სამინისტროებისათვის მიწოდება. ასევე განხორციელდა დაზარალებულ მოქალაქეთა პირადი ნომრების მიხედვით, მათი და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის იდენტიფიცირება, სამოქალაქო და საჯარო რეესტრის მიერ დევნილთა სტატუსის მქონე მოქალაქეების იდენტიფიცირება.

ზემოაღნიშნული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამართა ხუთი სამუშაო შეხვედრა. აპარატმა შეიმუშავა თითოეული დაზარალებული რაიონის - გორის, ქარელის, კასპის და საჩხერის მუნიციპალიტეტების პრიორიტეტული საჭიროებების ამსახველი ოთხი დოკუმენტი.

1.5.2. დროებითი სამთავრობო კომისიის საქმიანობა

მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის N257 დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია. კომისია პირველად შეიკრიბა ჯერ კიდევ 2 ოქტომბერს. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი წარმოადგენს აღნიშნული კომისიის თანათავმჯდომარე უწყებას. კომისიის ძირითადი ამოცანებია: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების შემუშავება; დახმარებისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა; დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამებისა და პროექტების განხილვა და განხორციელების კოორდინაცია.

„ოქტომბრის თვეში კომისიის წევრებმა გამართეს შეხვედრები გამყოფი ხაზის მიმდებარე გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის, საჩხერის, ზუგდიდის, წალენჯიხის და ონის მუნიციპალიტეტების 40-მდე სოფლებში“

ოქტომბრის თვეში აღნიშნული კომისიის წევრებმა გამართეს შეხვედრები გამყოფი ხაზის მიმდებარე გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის, საჩხერის, ზუგდიდის, წალენჯიხის და ონის

მუნიციპალიტეტების 40-მდე სოფელში მცხოვრებ მოსახლეობასთან. საანგარიშო პერიოდში, დროებითმა სამთავრობო კომისიამ გამართა ოთხი სხდომა.

კომისიამ დროის მოკლე პერიოდში უზრუნველყო დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებათა იდენტიფიცირება და პრიორიტეტული საჭიროებების შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის, დაზარალებულ სოფლებში კომისიის ხელმძღვანელებისა და სხვა წევრების ვიზიტებისას უშუალოდ მოსახლეობისგან შეგროვება. კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე დაიგეგმა აღნიშნულ რეგიონებში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, კერძოდ, ამბულატორიების მშენებლობა, წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, ჭაბურღილების აშენება, სარწყავი არხების რეაბილიტაცია, სოფლების გაზიფიცირება, გამრიცხველიანება, სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია. ამასთან, კომისიის რეკომენდაციით გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ ოჯახზე გამოიყო 200 ლარი (სულ 11 475 ოჯახი). კომისიამ დიპლომატიური კორპუსისა და უცხოელი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნო დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებები და დახმარება სთხოვა დაზიანებული სახურავების, სკოლების, საბავშვო ბაღების, ამბულატორიების აღდგენასა და რეაბილიტაციაში. დონორთა მხრიდან გამოითქვა გარკვეული მზაობა აღნიშნული დახმარების გაწევაში. გაიმართა კონსულტაციები ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის (UNHCR) წარმომადგენლებთან, რის საფუძველზეც აღნიშნულმა ორგანიზაციამ გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მრავალშვილიანი და სხვა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე 1200 ოჯახს გამოუყო დამატებითი ფინანსური დახმარება.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აწარმოებდა აქტიურ კონსულტაციებს, განსაკუთრებით ევროკავშირთან და USAID-თან, დაზარალებული მოსახლეობის დონორთა მხრიდან დახმარების თაობაზე.

1.6. საკანონმდებლო ინიციატივები და საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში მომზადდა არაერთი კანონპროექტი და სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას. კერძოდ, 2012 წლის 28 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ წარდგენილი „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 ნოემბრის №219 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. ცვლილების შედეგად გამარტივდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული საქმიანობის განხორციელებისთვის თანხმობის გაცემის პროცედურები. მანამდე არსებული რედაქციით აღნიშნული თანხმობა გაიცემოდა საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მას შემდეგ,



რაც საქართველოს მთავრობას თანხმობის გაცემის მიზნით დასაბუთებულ შუამდგომლობას წარუდგენდა განსახორციელებელი საქმიანობიდან გამომდინარე შესაბამისი სამინისტრო. ცვლილების თანახმად, შესაბამის მინისტრს უფლება მიენიჭა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან შეთანხმებით, ბრძანებით გასცეს ამგვარი ნებართვა. ამის შედეგად თანხმობის გაცემის პროცედურები კიდევ უფრო დაჩქარდა.

„ცვლილების შედეგად გამარტივდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული საქმიანობის განხორციელებისთვის თანხმობის გაცემის პროცედურები“

ცვლილების შედეგად, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებმაც დასაბუთებული შუამდგომლობით კონკრეტულ დარგობრივ სამინისტროს მიმართეს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობის მიღების თხოვნით, არ მიაღებიათ ის ზიანი, რომელიც ნებართვის გასაცემად საჭირო ხანგრძლივი პროცედურების გამო ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა მისდგომოდათ.

2012 წლის დეკემბერში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეიმუშავა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლებიც საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარედგინა მისაღებად საქართველოს პარლამენტს.

„ვენეციის კომისია მიესალმა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში მთავრობის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს“

კანონპროექტების შემუშავება განაპირობა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევებთან მიმართებით. მოქმედი რედაქციით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹ მუხლი წარმოადგენს ბლანკეტური ხასიათის ნორმას და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით შესვლისათვის. ნორმის ადრესატებმა უმეტეს შემთხვევაში შესაძლოა არ იცოდნენ, რომ საქართველოში მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის შეზღუდვა. ამასთან, 322¹ მუხლით გათვალისწინებული სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ოთხ წლამდე) მიჩნეულ იქნა უკიდურესად მძიმედ და არაპროპორციულად პირის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხთან. შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევისათვის პირველი შემთხვევისთვის გადატანილ იქნეს პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის სფეროდან ადმინისტრაციული



სამართლის სფეროში და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მანამდე ანალოგიური ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი. გარდა ამისა, კანონპროექტით შესაძლებელი გახდა გამონაკლის შემთხვევებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის სპეციალური ნებართვის გაცემა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ქმედების განხორციელების შემდეგ. ამასთან, კანონში შეტანილ იქნა სიცხადე სპეციალური ნებართვის გაცემის საფუძველთან დაკავშირებით, განისაზღვრა რა, რომ სპეციალურ ნებართვას გასცემს მთავრობა თავისი განკარგულებით. ვენეციის კომისიის პოზიტიური დასკვნაზე. 6 დეკემბერს, ვენეციის კომისიამ, 97-ე პლენარულ სხდომაზე განიხილა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში, ასევე საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ კოდექსებში ინიცირებული შესაბამისი ცვლილებების პროექტი. კომისიამ ერთხმად დაამტკიცა დასკვნითი დოკუმენტი, რომლითაც მიესალმა წარმოდგენილ ცვლილებებს. აღნიშნული კანონპროექტების განხილვა საქართველოს პარლამენტში დაიწყო მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ამჟამად კანონპროექტები მიღებულია პირველი მოსმენით და განხილულია მე-2 საკომიტეტო მოსმენაზე.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ საქართველოს მთავრობას წარედგინა „საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობების შემოღების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 თებერვლის №61 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის ცვლილების პროექტი. ცვლილების მიხედვით, „სახელმწიფო მინისტრი – რეინტეგრაციის საკითხებში“ შეიცვალოს სიტყვებით: „სახელმწიფო მინისტრი – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში“. შესაბამისად, „რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სახელწოდება შეიცვალა. ახალი სახელწოდების ინიცირებით, ერთის მხრივ, ქართული მხარე გამოხატავს მზადყოფნას ნდობის აღდგენისა და პირდაპირი დიალოგის წარმოებისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, უფრო ადეკვატურად ასახავს აპარატის საქმიანობის მეორე მნიშვნელოვანი, სამოქალაქო ინტერაციის მიმართულებას. აღნიშნულ ცვლილებას საქართველოს მთავრობამ დაუჭირა მხარი და 2012 წლის დეკემბერში გადაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად. საბოლოოდ, 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ძალაში შესული საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება დამტკიცებულ იქნა მთავრობის მიერ 2013 წლის 29 ნოემბერს და ძალაში შევა 2014 წლის პირველი იანვრიდან.

*„ახალი სახელწოდების
ინიცირებით, ერთის მხრივ,
ქართული მხარე გამოხატავს
მზადყოფნას ნდობის აღდგენისა
და პირდაპირი დიალოგის
წარმოებისათვის, ხოლო, მეორეს
მხრივ, უფრო ადეკვატურად
ასახავს სახელმწიფო მინისტრის
საქმიანობის მეორე
მნიშვნელოვანი, სამოქალაქო
ინტერაციის მიმართულებას“*

2. სამოქალაქო ინტეგრაცია

2.1. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა 2009 – 2014 წწ.

2013 წელს, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიმართულებით რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი მოქმედებდა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის 8 მაისის №348 განკარგულებით დამტკიცდა. ამ აქტის მიხედვით, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაევალა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართებაში პოლიტიკის შემუშავება, კოორდინირება და საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტთან არსებული საბჭოს წინაშე ანგარიშის წარდგენა. ამ პროცესების ეფექტიანად განხორციელების მიზნით შეიქმნა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები, ისე შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების, თბილისის საკრებულოსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებული რეგიონების სამი სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიას რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე თავმჯდომარეობს.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანი დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობაა, რომელიც მრავალფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობით. კონცეფცია ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ველდებულებებს.

2013 წელს გაგრძელდა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის“ იმპლემენტაცია. სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით მომზადდა 2012 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. აგრეთვე შემუშავდა 2013 წლის სამოქმედო გეგმა, რაც ფაქტობრივად, წარმოადგენს 2012 წელს დაწყებული პროგრამების გაგრძელებას. სამუშაო პროცესი მიმდინარეობს კონცეფციით განსაზღვრული ექვსი სტრატეგიული მიმართულებით: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დაიწყო მუშაობა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზის/შეფასების დოკუმენტის მომზადებაზე. ამ მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები, უწყებათაშორისი კომისიის წევრები, ექსპერტები. 2013 წლის 24 დეკემბერს, სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე წარდგენილ და განხილულ იქნა აღნიშნული შეფასების დოკუმენტი და შემუშავებული პირველადი რეკომენდაციები. წინა წლებში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი/შეფასება და კონცეფციის ამა თუ იმ მიმართულებით გამოვლენილი დადებითი თუ უარყოფითი ტენდენციები მოგვცემს შემდგომში ახალი პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობას. მიმდინარე კონცეფციის და სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადა იჭურება 2014 წელს, შესაბამისად სახელმწიფო მინისტრის აპარატი იწყებს შემდეგი პერიოდისათვის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ახალი კონცეფცია დაეფუძნება მიღებულ შედეგებს და შემუშავებულ რეკომენდაციებს. პროცესი იქნება გახსნილი, რაც გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, ფართო დისკუსიებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან და კონსულტაციებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან. ამ პროცესის განხორციელებაში სახელმწიფო მინისტრის აპარატს აქტიურად მხარს უჭერს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UN Association of Georgia) პროექტ „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით.

„მოქმედი კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ანალიზის საფუძველზე სახელმწიფო მინისტრის აპარატი აპირებს შემდეგი პერიოდისათვის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას“

2.1.1. სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია

2012 წლის დეკემბერში სახელმწიფო უწყებათაშორისმა კომისიამ გამართა პირველი სამუშაო შეხვედრა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. შეხვედრაზე განიხილებოდა როგორც მიმდინარე სამუშაო პროცესი, ისე სამომავლო გეგმები. კომისიის მეორე სხდომა შედგა 2013 წლის აპრილში, სადაც განიხილებოდა 2012 წელს განხორციელებული საქმიანობა კონცეფციის ექვსივე მიმართულებით; კომისიის წევრებმა აგრეთვე წარმოადგინეს კონკრეტული მიმართულებების ფარგლებში შემუშავებული 2013 წლის სამოქმედო გეგმა.

„განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო ენის და განათლების კომპონენტს“

კომისიის შემდეგი სხდომა გაიმართა მიმდინარე წლის 8 ივლისს, სადაც სახალხო დამცველს და სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს

წარმომადგენლებს წარედგინა 2012 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. შეხვედრაზე განხილულ იქნა, თუ რა წარმატებები და სირთულებები სდევდა სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს და როგორი შედეგები იქნა მიღწეული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო ენის და განათლების კომპონენტს, რადგან ეს მიმართულება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინტეგრაციის პროცესში. ამ მიმართულების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა პროგრამების განხორციელება. სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა სამუშაო პროცესის საზოგადოებისთვის გაცნობის და ჩართულობის მნიშვნელობას. სახალხო დამცველის აპარატი უახლოეს პერიოდში წარმოადგენს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგებს და რეკომენდაციებს.

ზემოაღნიშნული ანგარიში მინისტრთა კაბინეტს წარედგინა 20 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2012 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში ითარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე და განთავსდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე.

20 სექტემბერს გაიმართა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო სხდომა სახელმწიფო ენისა და განათლების მიმართულებით. განხილულ იქნა მიღწეული დადებითი შედეგები, აგრეთვე სირთულებები და გამოწვევები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე, და მის რელევანტურობაზე/გამოყენებაზე საქართველოს კონტექსტში. მონაწილეები შეთანხმდნენ მიმართულებების ფარგლებში თემატური ჯგუფების ჩამოყალიბებაზე და დამატებით ამ ფორმატით მუშაობის გაგრძელებაზე.

მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს გაიმართა უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო სხდომა მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიმართულებით. განხილულ იქნა მიმდინარე პროექტები და სამომავლო გეგმები. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაცემა „ჩვენი ეზოს“ და ეთნიკური უმცირესობების ენებზე „მოამბის“ ფორმატის შეცვლის თაობაზე. სხდომაზე მოწვეულ იყვნენ არაქართულენოვანი ბეჭდური მედიის წარმომადგენლები. სახელმწიფო მხარს უჭერს 3 არაქართულენოვანი გაზეთის გამოცემას, ესენია სომხურენოვანი „ვრასტანი“, აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“ და რუსულენოვანი „სვობოდნაია გრუზია“. შეხვედრაზე აღინიშნა იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ამ გამოცემების როლს აკისრია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირებისა და ტოლერანტობის სულისკვეთების წახალისების თვალსაზრისით. ამავდროულად დღის წესრიგში დადგა ამ გამოცემების მიმართ ინტერესის და საჭიროების გაზრდის საკითხი არაქართულენოვან მოსახლეობაში. სხდომის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ამ მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა და მოხდება ბეჭდური მედიის ეფექტურობის გაზრდა და მისი ფუნქციის სრული ამოქმედება.

2.1.2. უწყებათაშორისი კომისიის თემატური ჯგუფების შეხვედრები

სექტემბერ-ოქტომბერში შედგა ორი თემატური სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც კონკრეტული საკითხები და სამომავლო გეგმები იქნა განხილული, კერძოდ სახელმწიფოს ენის სწავლების მიმართულებით სამომავლო სტრატეგია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი. ამ კუთხით აქტიური განხილვის საგანია რუსულენოვანი სატელევიზიო არხის შექმნა. ამ საინფორმაციო საშუალების აქტუალურობაზე მეტყველებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ გამოხატული დიდი ინტერესი, რომელიც არგუმენტირებულია იმით, რომ სახელმწიფო ენის არცოდნის პირობებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მეტ წილად იმყოფებიან ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციულ ვაკუუმში და დამოკიდებულნი არიან სომხეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის ტელეარხებზე.

უწყებათაშორისი კომისიის წევრებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების ღონისძიებებში. ესტონეთის აღმოსავლეთ პარტნიორობის ცენტრის მიწვევით და ესტონეთის დიპლომატიური სკოლის მხარდაჭერით, უწყებათაშორისი კომისიის წევრები, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის ხელმძღვანელობით, 2-4 სექტემბერს იმყოფებოდნენ ვიზიტით ესტონეთში. ვიზიტის მიზანი იყო ესტონეთის გამოცდილების გაზიარება სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით. შეხვედრები შედგა ქვეყნის კულტურისა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლებთან, ასევე, სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან.

2.2. ეროვნული კონცეფციის 2013 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის 2009-2014 წწ. ფარგლებში 2013 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება. ამ სამუშაო პროცესს კოორდინირებას უწევდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველო. სამოქმედო გეგმის ფარგლებში ღონისძიებები განხორციელდა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით.

„ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით გაიმართა მუსიკალური ფესტივალები“

2.2.1. ღონისძიებები სოციალური და კულტურული მიმართულებით

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელშეწყობით მოხდა სოციალური, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და შესრულება. სახელმწიფო მინისტრის აპარატი ეროვნულ სკრინინგ ცენტრთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის სკრინინგის სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში 2013 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში გაიმართა სამი გასვლითი საინფორმაციო შეხვედრა. 21 ივნისის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოკაში მცხოვრებ მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია პროგრამის შესახებ; 28 ივნისის ბოლნისის მუნიციპალიტეტის და 5 ივლისის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. კაბალას მოსახლეობას ჩაუტარდა სემინარი, თუ როგორ უნდა ჩაერთონ და ისარგებლონ კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებით. სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა საქართველოში 2008 წლიდან მოქმედებს და ითვალისწინებს უფასო გამოკვლევებს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისათვის.

ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით გაიმართა მუსიკალური ფესტივალები და კონკურსი. სამოქმედო გეგმის ფარგლებში უკვე მეშვიდე წელია წარმატებით მიმდინარეობს მულტითნიკური კულტურის ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ – „კულტურათა დიალოგი“. 21 ივნისის აღნიშნული ფესტივალის ფარგლებში ვანო სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ თბილისის, რუსთავის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სამუსიკო სკოლების მოსწავლეები. ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართა დამწყები მხატვრების ნამუშევრების და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა. მორიგი ფოლკლორული კონცერტი გაიმართა 19 ოქტომბერს გრიბოედოვის სახ. თბილისის რუსულ დრამატულ თეატრის სცენაზე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქართველი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლე-ახალგაზრდობა ქვემო-ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-თიანეთის, კახეთის რეგიონებიდან და თბილისიდან. ფესტივალის მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგელებით და საჩუქრებით.

*„ახალგაზრდები
წარმოდგენენ ერთ-ერთ
ძირითად სამიზნე ჯგუფს
კონცეფციის ყველა
სტრატეგიული
მიმართულებით“*

მიმდინარე წლის 31 მაისს თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ყარაჯალის საჯარო სკოლაში გაიმართა ლიტერატურულ-შემეცნებითი კონკურსი თემაზე "ჩემი სამშობლო". აღნიშნული თემის ფარგლებში მოსწავლეებმა წარადგინეს საკუთარი მოხსენებები კახეთის ისტორიულ კუთხეებზე. კონკურსის მონაწილეები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და წიგნებით.

2.2.2. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების/ტოლერანტობის გაზრდის კამპანია

გასული წლის განმავლობაში დიდი ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს. ახალგაზრდები წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად სამიზნე ჯგუფს კონცეფციის ყველა სტრატეგიული მიმართულებით. საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებთან იწვევს მათში დიდ ინტერესს. მათ ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ სხვადასხვა უწყებების საქმიანობას, უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირებისგან მოისმინონ მათი ხედვა აქტუალურ საკითხებზე და თავისი მოსაზრებებიც წარმოადგინონ. ამას ემსახურებოდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული ექსკურსია-ვიზიტები თბილისში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში, რომელშიც ჩართულნი არიან ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიან ახალგაზრდები. 26 აპრილს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან 50-მდე ახალგაზრდა ეწვია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და გაეცნო სამინისტროს პრიორიტეტებს და სამომავლო გეგმებს. 27 აპრილს მარნეულიდან 20-მდე ახალგაზრდა ეწვია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრის მასწავლებლის სახლს და გაეცნენ მიმდინარე პროექტებს. მასწავლებლის სახლის ხელმძღვანელობა და ახალგაზრდები სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ახმეტის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქისტი მე-10-11 კლასების მოსწავლეები შეხვდნენ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს. მსგავსი ვიზიტების ფარგლებში ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა დაათვალიერონ თბილისის ღირშესანიშნაობები, გაეცნონ ქალაქის კულტურულ სიმდიდრეს.

საქართველოს ეთნიკურ და კონფესიურ მრავალფეროვნებას და მის როლს სახელმწიფოს სტაბილურ და დემოკრატიულ განვითარებაში მიემდგვნა ჩატარებული სემინარები და დისკუსიები. აღსანიშნავია 4 ივნისს გამართული მრგვალი მაგიდა თემაზე: "თანამედროვე კავკასია მსოფლიოს გეოპოლიტიკურ ჭრილში". შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული და ქართველი სტუდენტები, ასევე ექსპერტები.

18 ოქტომბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა სტუდენტებთან მაჰმადიანი მესხების ისტორიის, სოციალური მდგომარეობისა და დღევანდელი პრობლემატიკის გაცნობის მიზნით.

12 აპრილს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები მივლინებით იმყოფებოდნენ პანკისის ხეობაში, ადგილზე არსებული მდგომარეობისა და მოსახლეობის პრობლემების შესასწავლად.

16 ნოემბერს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მიღება გამართა; მოწვეულები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლები, აგრეთვე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი. ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის უფლებების თანასწორ დაცვას, ხელს შეუწყობს მრავალფეროვნებას და საზოგადოებაში ტოლერანტული სულისკვეთების განმტკიცებას და გაზრდას. ამავე დღეს სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ მარნეულში, სადაც შეხვდნენ ქვემო ქართლის რეგიონის მოსწავლე-ახალგაზრდობას; გაიმართა სემინარი-დისკუსია თემაზე ტოლერანტობა და კულტურული მრავალფეროვნება.

10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს სახელმწიფო მინისტრი იმყოფებოდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ახალციხის უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა-დისკუსია სტუდენტ-ახალგაზრდობასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. მინისტრმა ისაუბრა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველოში, კერძოდ არსებულ პოზიტიურ ტენდენციებზე და აგრეთვე გამოწვევებზე, რომლის წინაშე დგას სახელმწიფო.

2.2.3. სამოქალაქო მონაწილეობა

ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩატარებული საქმიანობის გაცნობის მიზნით მიმდინარე წლის ივნის-ივლისში შედგა გასვლითი შეხვედრები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონში. განხილულ იქნა სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიმართულებით. მარნეულის მოსახლეობა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარლამენტის ადგილობრივი დეპუტატები, ახალგაზრდა აქტივისტები, სტუდენტები და თემის ლიდერები გაეცნენ მიმდინარე პროექტებს და სამომავლო გეგმებს. ერთ-ერთი შეხვედრა აგრეთვე შედგა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად და მიემდგნა განათლებისა და სახელმწიფო ენის სწავლების საკითხს, ამ მიმართულებით მიმდინარე პროგრამების განხილვას.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა შეხვედრები მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. განხილულ იქნა სტრატეგიის სხვადასხვა მიმართულებით მიღწეული შედეგები და სირთულეები, აგრეთვე შემდგომი სტრატეგიის ამოცანები და პრიორიტეტები.



2.3. სახელმწიფო მინისტრის და მინისტრის პირველი მოადგილის შეხვედრები/ვიზიტები

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პირადად არის ჩართული სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანიაში. მიმდინარე წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრმა გამართა სამუშაო შეხვედრები კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს განხილულ იქნა არსებული პრობლემები და მათი მოგვარების შესაძლებლობები.

სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე შეხვდა ბათუმში მცხოვრებ ეთნიკურად აფხაზ მოქალაქეებს. შეხვედრაზე გაიმართა მსჯელობა სხვადასხვა თემაზე, მათ შორის აფხაზური ენის შენარჩუნების და სწავლების საკითხზე. შეხვედრის მიზანი იყო ასევე აჭარაში მცხოვრები აფხაზების სოციალური პრობლემების გაცნობა. შედეგა კონსულტაციები ბათუმში მოქმედ სხვადასხვა ორგანიზაციასთან საკვირაო სკოლისთვის შესაძლო ფართის გამოყოფის თაობაზე.

გასული წლის განმავლობაში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ მიულოცეს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, ასევე ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს მათი ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები და მონაწილეობა მიიღეს საზეიმო ღონისძიებებში.

2.4. რელიგიურ საკითხთა დარეგულირება

რელიგიურ ნიადაგზე შექმნილ დაძაბულობასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის ივნისს-აგვისტოს პერიოდში სახელმწიფო მინისტრი იმყოფებოდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. სამთაწყაროში და ადიგენის რაიონის სოფ. ჭელაში, სადაც შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას, მუსლიმური თემის ლიდერებს, სოფლის რწმუნებულებს. განხილულ იქნა ბოლო პერიოდში რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები და მათი მოგვარების გზები.

რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების სამართლებრივ სივრცეში მოქცევისა და გადაწყვეტის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია კომისიის ძირითადი მიზანია

„რელიგიურ
გაერთიანებებთან
დაკავშირებული
ცალკეული საკითხების
სამართლებრივ სივრცეში
მოქცევისა და გადაწყვეტის
მიზნით შეიქმნა კომისია“

ისეთი საკითხების შესწავლა და მათზე საკანონმდებლო რეკომენდაციების შემუშავება, როგორცაა რელიგიური-საკულტო ნაგებობების მშენებლობა, რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება, რელიგიური საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულირება და სხვა საკითხები.

2.5. ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მუშაობდა საქართველოს „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ ხელმოწერისა და რატიფიცირების ვალდებულების შესწავლაზე, რომელიც საქართველოს მიერ 1999 წელს, ევროსაბჭოში გაწევრიანებისას, იქნა აღებული.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, მიმდინარე წლის მარტში გაიმართა შეხვედრა უმცირესობათა საკითხებში ევროპული ცენტრის (ECMI) მონაწილეობით, რომელზეც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია ქარტიის თაობაზე და ასევე მოხდა აზრთა პირველადი ურთიერთგაცვლა.

აპრილში შეიქმნა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ექსპერტებისაგან დაკომპლექტებული თემატური უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფები, რომლებმაც, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით, მაისის ბოლოსათვის შეიმუშავეს მატრიცა იმის თაობაზე, თუ ქარტიის რომელი პუნქტები უკვე სრულდება საქართველოს მიერ. პარალელურად, აპარატის წარმომადგენლებმა დაიწყეს სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში და დისკუსიებში მონაწილეობა, რათა მომხდარიყო ქარტიის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ამ საკითხის ირგვლივ არსებული მაღალი პოლიტიზაციის ფონზე. 28 მაისს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები ასევე შეხვდნენ ქართველ ენათმეცნიერებს. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოწვევით, 4-6 ივნისს გაიმართა ევროსაბჭოს ექსპერტის სამუშაო შეხვედრები აღნიშნული ჯგუფების წევრებთან, რომლის დროსაც განიხილეს ქარტიის მიზანი, რატიფიკაციის მომხდენი ქვეყნების გამოცდილება, ევროსაბჭოს რეკომენდაციები, არსებული გამოწვევები და რატიფიკაციის შესაძლო ვარიანტები.

„სახელმწიფო მინისტრის
აპარატი აქტიურად
მუშაობდა „რეგიონული ან
უმცირესობათა ენების
შესახებ ევროპული
ქარტიის“ საკითხზე,
რომლის ხელმოწერისა და
რატიფიცირების
ვალდებულება
საქართველოს მიერ 1999
წელს, ევროსაბჭოში
გაწევრიანებისას, იქნა
აღებული“

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, მთავრობის მიმდინარე წლის 21 ივნისის N163 დადგენილებით, შეიქმნა „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული

ქარტიის“ თაობაზე საქართველოს ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებული უწყებათაშორისი კომისია“, რომელსაც ხელმძღვანელობს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, და დამტკიცდა მისი დებულება. აღნიშნული კომისიის მიზანია უზრუნველყოს „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი და შეისწავლოს ზემოაღნიშნულ ქარტიასთან დაკავშირებით საქართველოს ვალდებულებები. გარდა ამისა, უწყებათაშორისი კომისია ხელს უწყობს ევროპული ქარტიის ხელმოწერისა და რატიფიკაციის საკითხის მიმართ საქართველოს მთავრობის ერთიანი პოზიციისა და რატიფიკაციის მიზანშეწონილობის დადგენის შემთხვევაში, რატიფიკაციის ინსტრუმენტის პირველადი პროექტის შემუშავებას. კომისია ასრულებს ერთგვარ მაკოორდინირებელ ფუნქციას საერთაშორისო ორგანიზაციებს, სამოქალაქო სექტორსა და მეცნიერულ საზოგადოებასთან, ევროპულ ქარტიასთან მიმართებაში კონსულტაციების გამართვის გზით. ქარტიის რატიფიკაციის შემთხვევაში კომისია ვალდებულია შეიმუშაოს ქარტიის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა და განახორციელოს ამ უკანასკნელის მონიტორინგი. ამასთან, კომისია საქართველოს მთავრობისათვის განსახილველად ამზადებს შემაჯამებელ რეკომენდაციებს.

დღემდე ქარტიის საკითხზე, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით, გაიმართა მინისტრის მოადგილეების დონეზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ორი შეხვედრა, ექსპერტების დონეზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების ათამდე შეხვედრა და სახელმწიფო კომისიის ოთხი სხდომა, რომლის დროსაც განხილულ იქნა ქარტიის ხელმოწერის მიზანშეწონილობა, არსებული გამოწვევები და რატიფიკაციის შემთხვევაში, რატიფიკაციის დოკუმენტის სხვადასხვა ვარიანტები, მათ შორის ევროსაბჭოს ექსპერტებისა და უწყებათაშორისი ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ერთობლივი ვარიანტი.